

„ცისფერყანწელები“, შემაჯამებული გაკვეთილი

რუსუდან გონაშვილი

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ხორნაბუჯის საჯარო სკოლა

გაკვეთილის თემა: ცისფერყანწელები - მტრები თუ პატრიოტები?

შეიძლება თუ არა ვენდოთ მედიასივრცეში გავრცელებულ ყველა ინფორმაციას მათზე?

კლასი: მეთორმეტე

გაკვეთილის ხანგრძლივობა: 2 დაწვეტილებული გაკვეთილი

მიზანი:

- ინფორმაციის მიღების, დახარისხების, ანალიზის უნარების განვითარება;
- შეფასების, კრიტიკული აზროვნების, მედიაწიგნიერების განვითარების უნარი;
- შეფასებისა და დასკვნის გამოტანის უნარი;
- წაკითხულის მიმართ დამოკიდებულების გამოხატვა;
- თანამშრომლობის, დისკუსიისა და კამათის ხელოვნების დაუფლება;
- მედიატექსტებზე მუშაობის საწყისი უნარ-ჩვევების გამომუშავება;
- საინფორმაციო წყაროს ეფექტურად გამოყენების უნარი.

მედიაწიგნიერების მიზნებია:

1. მედიარესურსის კრიტიკული ანალიზი და სინამდვილის რეპრეზენტაციის შეფასება;
2. სხვადასხვა მედიის მიერ გამოქვეყნებული ინფორმაციის სანდოობის ანალიზი და შეფასება;
3. მედიის მიერ გამოქვეყნებულ ინფორმაციაში სხვადასხვა პერსპექტივისა და ხედვის იდენტიფიცირება, ანალიზი და განხილვა;
4. კრიტიკული აზროვნების, შემოქმედებითი აზროვნების, ინფორმაციის მოძიება-დახარისხების, ძირითადის გამოკვეთისა და დასკვნების გაკეთების უნარი.

ესგ-სთან შესაბამისობა

მიმართულება: ზეპირმეტყველება

ქართ. XII. 4. მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა სტრატეგიის გამოყენება სასწავლო პროექტის პრეზენტაციისათვის.

რუსუდან გონაშვილი, „ცისფერყანწელები“, შემაჯამებელი გაკვეთილი

მიმართულება: კითხვა

ქართ. ქართ. XII. 6. მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა ტექსტში ასახული ფასეულობებისა და შეხედულებების ერთმანეთთან შედარება.

ქართ. XII. 7. მოსწავლეს შეუძლია გააანალიზოს კულტურული, სოციალური და ისტორიული ფასეულობების გავლენა ტექსტსა და მის ინტერპრეტაციაზე.

გამოყენებული აქტივობები:

1. გონებრივი იერიში
2. ჯგუფური მუშაობა
3. დისკუსია
4. სქემები
5. ესე

გაკვეთილის ტიპი: კომბინირებულ -შემაჯამებელი გაკვეთილი

წინასწარი ცოდნა: მოსწავლეებს უკვე აქვთ ინფორმაციის ანალიზისა და დახარისხების უნარი, აქვთ გარკვეული ინფორმაცია საქართველოს ისტორიისა და თანამედროვეობის შესახებ.

გამოყენებული რესურსები:

ფლიფჩარტები, დაფა, პროექტორი, ლეპტოპი, პრეზენტაცია, ვიდეოფილმები.

გაკვეთილის მსვლელობა პირობითად დაყოფილია სამ ნაწილად:

1. ვიდეოფილმი „ცისფერყანწელების“ ჩვენება და განხილვა სქემით:

- როდის შეიქმნა?
- ვინ იყვნენ ცისფერყანწელები?
- რა იყო მათი ხედვა?
- რამდენი ქართველი მწერალი შეეწირა ტერორს და რამდენი იყო მათგან ცისფერყანწელი.

2. კარიკატურების ჩვენება და მათი განხილვა სქემის მიხედვით:

- როდის შეიქმნა კარიკატურა?
- ვინ არიან გამოსახულნი კარიკატურებზე?
- რა არის კარიკატურის ძირითადი გზავნილი?

რუსუდან გონაშვილი, „ცისფერყანწელები“, შემაჯამებელი გაკვეთილი
„მონანიებიდან“ ფრაგმენტის ჩვენება.

ფრაგმენტის მოკლე აღწერა: ფრაგმენტში ასახულია სცენა, რომელშიც გადმოცემულია მხატვარი ბარათელის, მარიამისა და მოსეს ვარლამ არავიძესთან საუბარი, რომელიც შეეხება ტაძრის დანგრევის საშიშროებას და სთხოვენ მას იმ სამუშაოების შეწყვეტას, რომელიც იწვევს ხელოვნების ნიმუშის განადგურებას. გადმოცემულია ვარლამ არავიძის პოზიცია და მუქარა, რომ ყველაფერს ხედავს, ყველაფერს აკონტროლებს და დღეიდან არაფერი იქნება ისე, როგორც საჭიროა, ყველაფერი იქნება ისე, როგორც მას (მეტაფორულად მმართველ პარტიასა და იდეოლოგიას), ერთ კაცს უნდა და ასეც მოხდა - დააპატიმრა მოხუცი ადამიანები საკუთარი აზრის გამოხატვისთვის.

მეორე ნაწილი

საბჭოთა კვლევის ლაბორატორიის მასალის გამოყენება წყაროდ, ამონარიდი „1937 წელი - „ლიტერატურული საქართველო“, სადაც საუბარია „ლიტერატურული საქართველოს“ 1936 წლის 16 აგვისტოს ნომერში დაბეჭდილ სტატიაზე „ხალხის მტრებს დანაშაულზე წაასწრეს“. სტატია ეხება ტროცკი-ზინოვიევ-კამენევის შეთქმულებას. (გვ. 11)

ამ მასალის განხილვა შემდეგი სქემის მიხედვით:

- როდის დაიწყო რეპრესიები საქართველოში?
- რომელმა მწერლებმა დაგმეს ბუდუ მდივანი და რა ფორმით?
- რატომ მიიღეს მონაწილეობა ამ პროცესში?
- როგორ განვითარდა მოვლენები?
- თქვენი აზრით, ამ კრებაზე გამოთქმული მოსაზრებების ავტორები ნამდვილად ასე ფიქრობდნენ?
- დოკუმენტიდან გამომდინარე, როგორ აყალიბებდა საბჭოთა იდეოლოგიური მანქანა ახალი ტიპის ქართველ მწერალს?
- ამ ამონარიდებზე დაყრდნობით, შეიძლება თუ არა დასკვნა იმისა, რომ საბჭოთა იდეოლოგია ცდილობდა საკუთარი მიზნების განსახორციელებლად გამოეყენებინა ქართული ლიტერატურა?

რუსუდან გონაშვილი, „ცისფერყანწელები“, შემაჯამებელი გაკვეთილი

- როგორ განვითარდა მოვლენები? რა იყო შედეგი ასეთი მიზანმიმართული დაშინება-რეპრესიების?

მესამე ნაწილი

პოსტრეპრესიულ პერიოდში დაწერილი ლექსების განხილვა; რეპრესიებამდე და რეპრესიების შემდეგ დაწერილი ლექსების შედარება და ქართულ პოეზიაში მომხდარ ცვლილებებზე დაკვირვება კითხვების საშუალებით; დაკვირვება იმაზე, თუ როგორ კლავს ყოველგვარი იდეოლოგია და დაშინება-დოგმები მწერლობასა და შემოქმედებას.

გაკვეთილის მსვლელობის დეტალური აღწერა

დაფაზე გაკრულია ლექსიკონი

ტერმინი	განმარტება
ცისფერყანწელები	1915-16 წლების მიჯნაზე ქუთაისში არაორდინარულ ახალგაზრდა მწერალთა ერთ-ერთმა გუნდმა დააარსა ლიტერატურული დაჯგუფება, რომელსაც „ცისფერყანწელები“ უწოდა. ეს სახელი დაარქვეს მათ მიერვე გამოცემული პირველი ჟურნალის („ცისფერყანწელების“) სახელწოდების მიხედვით. ამ ფაქტმა ქუთაისის და დედაქალაქის მოწინავე საზოგადოებაში დიდი ინტერესი გამოიწვია. ცისფერყანწელთა ორიგინალურმა ქცევამ, მანერებმა, წერისა და აზროვნების განსხვავებულმა სტილმა საზოგადოებაში არაერთგვაროვანი განწყობა წარმოშვა, მწერალთა და ხელოვანთა სამყაროს წარმომადგენელთა შორის ჩამოყალიბდა ურთიერთსაწინააღმდეგო აზრი. ყანწელთა პირველი პერიოდული ორგანო იყო ჟ. „ცისფერი ყანწელები“ (1916 წ. რედ. პ. იაშვილი).
ტოტალიტარიზმი	პოლიტიკური რეჟიმი, რომლისთვისაც დამახასიათებელია სახელმწიფოს მიერ საზოგადოების ცხოვრების ყველა სფეროში სრული კონტროლისკენ სწრაფვა.
ტირანია	ერთპიროვნული მმართველობა, რომლის დროსაც კანონი კი არ არის უზენაესი, არამედ მმართველის ნება-სურვილი.
სიმბოლიზმი	ანტირეალისტური, დეკადენტური მიმართულება ბურჟუაზიულ ლიტერატურასა და ხელოვნებაში მე-19 ს. ბოლოს და მე-20 ს. დასაწყისში; მხატვრულ ხერხად აცხადებდა სიმბოლოს, როგორც საგნებისა და მოვლენების მიუღწეველი არსის გამოხატვის საშუალებას.

რუსუდან გონაშვილი, „ცისფერყანწელები“, შემაჯამებული გაკვეთილი

საორგანო საკითხები: კლასის დაჯგუფება, სიის ამოკითხვა, გაკვეთილის მიზნის გაცნობა (2 წუთი).

აქტ.1: ვიდეოფილმის „[ცისფერყანწელები](#)“ ჩვენება და განხილვა.

ფრაგმენტში კოლაუ ნადირაძე საუბრობს „ცისფერი ყანწის“ შექმნასა და მიზნებზე.

მასწავლებელი წინარე ცოდნის გასააქტიურებლად ჯგუფებში ანაწილებს ბარათებზე დაწერილ დავალებებს-10წთ.

დავალება 1.

-როდის შეიქმნა?

-ვინ იყვნენ ცისფერყანწელები?

-რა იყო მათი ხედვა?

-რამდენი ქართველი მწერალი შეეწირა ტერორს და რამდენი იყო მათგან ცისფერყანწელი?

კითხვები	სავარაუდო პასუხები
როდის შეიქმნა?	ქართველი სიმბოლისტების გართიანება „ცისფერი ყანწები“ დაარსდა 1916 წელს ქუთაისში.
ვინ იყვნენ ცისფერყანწელები?	„ცისფერი ყანწი“ ოცინი წლების ლიტერატურულ ცხოვრებაში წარმოადგენდა ყველაზე მეტი ყურადღებისა და აზრთა სხვადასხვაობის საგანს. ამ სკოლის წარმომადგენლები იყვნენ სამშობლოზე უზომოდ შეყვარებული ახალგაზრდები, რომელთა სურვილიც ქართული პოეზიის „გაახლება“ იყო ევროპული იდეებით. აღნიშნული სკოლის ფუძემდებლები და ლიდერები ცნობილი პოეტები - პაოლო იაშვილი და ტიცუან ტაბიძე იყვნენ. მათთან ერთად მიმდინარეობის წევრები იყვნენ გრიგოლ რობაქიძე, ვალერიან გაფრინდაშვილი, კოლაუ ნადირაძე, შალვა აფხაიძე, ნიკოლო მიწიშვილი, ალექსანდრე არსენიშვილი, სანდრო ცირეკიძე, გიორგი ლეონიძე, სერგო კლდიაშვილი და შალვა კარმელი (გოგიაშვილი).

რა იყო მათი ხედვა?	„ცისფერი ყანწები“ თავის თავს ლიტერატურაში ამკვიდრებდა, უმთავრესად და უპირატესად, ლირიკული პოეზიით. აქ გაერთიანებული იყვნენ უაღრესად ნიჭიერი, ერუდირებული და მოაზროვნე პოეტური ძალები, რომლებიც ყოველ თავიანთ ახლად გამოქვეყნებულ ლექსში თუ კრიტიკულ-პუბლიცისტურ გამოსვლაში ცდილობდნენ, ყოფილიყვნენ ორიგინალურნი.
რამდენი ქართველი მწერალი შეეწირა ტერორს და რამდენი იყო მათგან ცისფერყანწელი?	საქართველოში საპრობილეებში დაახლოებით 63 ათასი ადამიანი მოხვდა, აქედან 20 ათასამდე დახვრიტეს. თუმცა, დახვრეტილთა ან გულაგში გარდაცვლილთა ზუსტი რაოდენობის დადგენა მაინც ჭირს. მათგან ცისფერყანწელი, ჩვენთვის ცნობილი და ნასწავლი ბიოგრაფიებიდან, 3 იყო: ტიციანი, პაოლო და ნიკოლო მიწიშვილი.

აქტ.2.ამის შემდეგ მასწავლებელი აკეთებს შესავალს და აჩვენებს ნაწყვეტს ფილმიდან „[მონანიება](#)“. (1:00 დან 1:05-მდე)-5 წთ.

მასწავლებლის სიტყვა: -თქვენ ახლა ნახავთ ფრაგმენტს თენგიზ აბულაძის ფილმიდან „მონანიება“. ფილმი ეხება იმ ეპოქას, რომელშიც მოღვაწეობდნენ ცისფერყანწელები. ფრაგმენტში აღწერილია ხელოვანის, მხატვრის მეუღლის, ქეთევანის სიზმარი. მინდა, ყურადღებით დააკვირდეთ და გაავლოთ პარალელი შემდეგ დავალებასთან:

აღწერეთ ვიდეოფრაგმენტში გადმოცემული ამბავი ცხრილში (პერიფრაზი)

რეალობაა ფრაგმენტი თუ პერსონაჟის სიზმარი?	ნაწყვეტში პერსონაჟი ხედავს სიზმარს.
რას ხედავს ?	ქალს ესიზმრება, რომ ის და მისი მეუღლე გარბიან ვილაცისგან. შემდეგ ისიც გამოჩნდება, რომელიც მათ მოსდევს მანქანით. გასაქცევს ვერ პოულობენ. ბოლოს ბელტებში ჩაიმარხებიან. ნაწყვეტი განწირულობას და უიმედობას შეიცავს. მდევრები პოულობენ გაქცეულებს.

როგორ გამოიყურება,რა აცვია მანქანაში მყოფს? რომელ ეპოქას ასახავს და რატომ ფიქრობ ასე?	მანქანაში მყოფი ჩაცმულია მეოცე საუკუნის დასწყისის კომუნისტი მოხელის ტანსაცმელში. ასახულია მეოცე საუკუნის დასაწყისი. ამაზე მიგვანიშნებს იგივე მოხელე, მანქანა...
არის თუ არა ეს ფრაგმენტი მეტაფორული და რატომ ფიქრობთ ასე? რა არის ამ ფრაგმენტში უცნაური?	ფრაგმენტი მეტაფორის ელემენტებს შეიცავს. სათქმელი პირდაპირ არაა გადმოცემული. უცნაურია მეოცე საუკუნის ადამიანებთან ერთად შუასაუკუნეების ცხენოსნების გამოჩენა. ასე ეცვათ ჯვაროსნებს.

აქტ.4. ჯგუფებში მუშაობისა და პრეზენტაციის შემდეგ, მასწავლებელი დაფაზე აკრავს პოსტერს. პოსტერზე მოცემულია ნაწყვეტი ტიციანის ლექსიდან „ანანური“:

„...გაჩენილი ვარ ქვებზე კალმახი
და ახელი მაქვს ლაყუჩები,
შემართულია ფეხზე ჩახმახი
და უსიკვდილოდ ვერ გადვურჩები.“

ჯგუფებში ანაწილებს დავალებას-5 წთ.

მასწავლებელი სვამს კითხვებს-5 წთ.

დასმული კითხვები	სავარაუდო პასუხები
თქვენ ნახეთ ნაწყვეტი ფილმიდან, შეიძლება თუ არა იგივე პათოსი დავინახოთ, რაც ტიციანის ლექსშია?	ტიციანი ამ ფრაგმენტში წინასწარმეტყველებს თავის სიკვდილს. ამ ფრაგმენტშიც ხელოვანი ადამიანის დევნა და განადგურებაა აღწერილი. ორივეგან ერთი ეპოქა იგულისხმება, ორივეგან ხელოვანი ადამიანის განადგურებაა ნაწინასწარმეტყველები.

შეიძლება თუ არა ტიციანის ეს ლექსი განვაზოგადოთ, როგორც ეპოქის ხელოვანთა საერთო ტრაგედია?	ტიციანი საკუთარ თავსაც და მის თაობასაც გულისხმობდა, როცა ამბობდა, რომ ახელი აქვს ლაყუჩები. ამით განაცხადა, რომ ისინი თავს არც პიროვნულად და არც შემოქმედებითად თავისუფლად არ გრძნობენ, რომ მალე მათი აღსასრული დადგება: „შემართულია ფეხზე ჩახმახი“... შემდგომმა მოვლენებმა გვიჩვენა, რომ ტიციანის ეს ლექსი ერთგვარი წინასწარმეტყველება აღმოჩნდა, რომელმაც განსაზღვრა თაობის მომავალი.
შეიძლება თუ არა ასეთ რეჟიმში თავისუფალი შემოქმედისა და შემოქმედების არსებობა?	არა, რადგან ყველაფერი ცენზურას ექვემდებარებოდა და განსხვავებული და მიუღებელი აზრი სასტიკად ისჯებოდა, გამეფებული იყო შიში და ტერორი. სადაც შიშია, იქ თავისუფლება ვერ იქნება.

აქტ.5. კარიკატურების ჩვენება და მათი განხილვა სქემის მიხედვით-5 წთ.

ამის შემდეგ მასწავლებელი სლაიდზე ანახებს 2 კარიკატურას და სთხოვს მოსწავლეებს, დააკვირდნენ და უპასუხოთ კითხვებს (დავალემა შეიძლება წერილობითაც შესრულდეს).

რუსუდან გონაშვილი, „ცისფერყანწელები“, შემაჯამებული გაკვეთილი
კარიკატურები



კითხვა	სავარაუდო პასუხი
როდის შეიქმნა კარიკატურა?	ორივე კარიკატურა შექმნილია საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ.
ვინ არიან გამოსახულნი კარიკატურებზე?	პირველ ნახატზე ცისფერყანწელთა „შეზოჭვა-მოთვინიერება“, მეორეზე-ტიციანისა და „ჩეკისტის“ საუბარი.
რა არის კარიკატურის ძირითადი გზავნილი?	დაშინება, ლიტერატურისა და მწერლის მოთვინიერების მცდელობა

აქტ.6.ამის შემდეგ მასწავლებელი ჯგუფებში სამუშაოდ ურიგებს მოსწავლეებს წინასწარ გამზადებულ წერილობით წყაროს. მასზე დაყრდნობით მოსწავლეებმა უნდა შეავსონ სქემა. **წყარო:** საბჭოთა კვლევის ლაბორატორიის მასალა „საბჭოთა წარსულის გააზრება“, ამონარიდი „1937 წელი - „ლიტერატურული საქართველო“, სადაც საუბარია „ლიტერატურული საქართველოს“ 1936 წლის 16 აგვისტოს ნომერში დაბეჭდილ სტატიაზე „ხალხის მტრებს დანაშაულზე წაასწრეს“. სტატია ეხება ტროცკი-ზინოვიევ-კამენევის შეთქმულებას. (გვ. 11)-10 წთ.

რუსუდან გონაშვილი, „ცისფერყანწილები“, შემაჯამებელი გაკვეთილი

პირველად რეპრესიების შესახებ ინფორმაცია „ლიტერატურული საქართველოს“ 1936 წლის 16 აგვისტოს ნომერში გვხვდება, სადაც დაბეჭდილია „პრაედის“ 15 აგვისტოს მოწინავე სტატიის „ხალხის მტრებს დანაშაულები წასწერს“ თარგმანი. სტატია ეხება ტროცკი-ზინოვიევი-კამენევის შეთქმულებას. გაიმართა ქართველი მწერლების კრება, რომელმაც ერთხმად აღიარა, რომ „სიტყვა გვეთვის კანონს, რომელმაც იცის მხოლოდ ერთი ზომა იმ ბოროტმოქმედებისთვის, რომელიც ტროცკისტულ-ზინოვიევერმა ბანდამ ჩაიდინა“ — ამ გადაწყვეტილებას ერთხმად დაუჭირა მხარი მწერალთა სახლში შეკრებილმა მწერალთა გუნდმა.

1937 წლის დასაწყისში, მაშინ, როდესაც რეპრესიებს საქართველოში ჯერ არ ჰქონდა მიღებული ფართო მასშტაბები, მაგრამ უკვე დაპატიმრებული ჰყავდათ რამდენიმე ძველი ბოლშევიკი. 30 იანვრის „ლიტერატურული საქართველოს“ პირველსავე გვერდზე დაბეჭდილია „ქართული მწერლების მიმართა აშშ. ლაგერინტი ბერიასათვის“, სადაც ისინი საუბრობენ ტროცკისტა ბანდაში აღმოჩენილ „ქართული „გამაყიდველი“ ზედო მდივანზე“. „ტროცკის მასალებიდან ჩვენ გავიგეთ, რომ ხალხის მტრებისა და ჯალათების ამ გვერდართა ხროვაში აქტიური მონაწილეობა მოუღია ტროცკისტ-ზინოვიეველთა ქართველ ნაძირალებსაც — ხალხის მოსიხლე მტრისა და გამოუსწორებელი კონტრრევოლუციონერი ტროცკისტის ბუდე მდივნის მეთაურობით. ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ საბჭოთა მართლმსაჯულების მხველი თვალს ვერ დაემალება მოლაღატა ბანდის ვერც ერთი მოლაღატე-ქვეწარმავალი. ჩვენ მოვითხოვთ, აღიგავოს პირისაგან დედამირისა ჩვენი სამშობლოს მოლაღატეთა ბანდის ყოველი მონაწილე. წვევლა და ზიზი მათს სისხლით შესერილ ხელს!“

ქართველი მწერლები 29 იანვარს შეიკრიბნენ და კრებაზე ყველამ დაგმო ეს „შემზარავი“ დანაშაული. გამეთი სხდომის მოკლე რეზიუმეს ბეჭდავს. კრება გახსნა დავით დემეტრაძემ. ზედო მდივანი დამეს — მიხეილ ჯაფარიშვილმა, შალვა დადიანმა, გიორგი ბაბოშვილმა, სიმონ ჩიქოვანმა, გიორგი ლეონიძემ, ალიო მამაშვილმა, ვალერიან გაფრინდაშვილმა, კონსტანტინე გამსახურდიამ, ტიციან ტაბიძემ, დემან შერეგლიამ, სიმონ წერეთელმა, ირაკლი აბაშიძემ. გამეთი გვთავაზობს მწერალთა კრების მოკლე მიმოხილვას და ამავე თემაზე ბეჭდავს სტატიებსაც. თვალსაჩინოებისთვის მათი სათარუებიც კმარა: „სიკვდილი მუხანათურ მტერს“ — მიხეილ ჯაფარიშვილი; „სულის სიღრმეში აღმოფთვებული ვარ“ — შალვა დადიანი; „უსასტიკესი განაჩენი სამშობლოს მოლაღატებს“ — ალიო მამაშვილი; „ზიზი ბანდიტებსა და ქვეწარმავლებს“ — გიორგი ლეონიძე; „ისტორიას არ ახსოვს უფრო მტერი გათახსირება“ — ტიციან ტაბიძე; „ხალხის მსჯავრი“ — სიმონ ჩიქოვანი; „აღმოფხვრათ მათი სხენება“ — ვალერიან გაფრინდაშვილი, „მილიონების მრისხანების ქარიშხალი“ — სანდრო ეული.

გიორგი ლეონიძე წერდა: „აშშ. სტალინზე ხელის აღმართვა, როგორც მათ განზრახვაში ჰქონიათ, არის ხელის აღმართვა მილიონიან მშრომელთა თავისუფლებებზე, ხელის აღმართვა მანათიბელ მზეზე, რომელიც მხოლოდ ჩვენს ბედნიერ ეპოქას ელირსა. მხოლოდ უბადრუკი ქვეწარმავალი, მხოლოდ ადამიანისა და კაცობრიობის მტერი გაბედავს ფიქრს, რომ შეიძლება ამ დროშის ჩამოღება, მხოლოდ წუნკალი არსება გაბედავს ფიქრის, რომ შეიძლება ამ ზღვა სიყვარულის დაშრობა, ამ დიდებული შშის დაბნელება! სტალინი მილიონების გულშია“.

1937 წლის იანვარში ალბათ უკვე ჩრდილოდნენ მწერლები რეალურ საფრთხეს, იმავე წლის 15 მაისს საქართველოს კომპარტიის X ყრილობაზე ლაგერინტი ბერიას მოხსენებამ კი ცხადყო, რომ რეპრესიებს ვერც ქართველ მწერალთა საუკეთესო ნაწილი გაუცქერდა: „პ. იაფელიძე, რომელიც 40-ზე მეტი წლისაა, დროა ჭკუა ისხალოს. ზედმეტი არ იქნება სერიოზულად ჩაუფიქრდნენ თავიანთ მოქმედებას აგრეთვე გამსახურდია, ჯაფარიშვილი, მიწიშვილი, შევარდნაძე და კიდევ ზოგიერთები“ — თქვა ბერიამ. მაღვე, 10 ივნისის „ლიტერატურული საქართველო“ ბეჭდავს მოწინავე სტატიას — საქართველოს კ.პ.(ბ) ყრილობის შედეგების განხილვა მწერალთა საერთო კრებაზე „შეცევითი რევოლუციური სიფხიზლის გაძლიერებისთვის“.

„კერძოდ, პავლე იაშვილისგან კრება მოელოდა, რომ იგი იტყოდა, თუ როგორ ნავარდობდა იგი ლომინაძისგან ჭიჭისკენ, ჭიჭისგან — აღნაშვილისკენ, ლოლბერიძისგან ლომინაძისკენ. როგორ მოხდა იგი ელიავს კლანჭებში. პავლე იაშვილმა ვერ გასცა პასუხი ამ კითხვებს, მიუხედავად იმისა, რომ ორჯერ მიეცა სიტყვის თქმის საშუალება. იმის ნაცვლად რომ მას გაემხილა, თუ რაში მდგომარეობდა მისი კავშირი ხალხის გამოუმუდავებელ მტრებთან, პ. იაშვილი მოჰყვა მათ დახასიათებას. ყველაზე მთავრად ცხადი შეიქმნა პ. იაშვილის სიტყვების შემდეგ, რომ მან უფრო ბევრი იცის, ვიდრე ამბობს. როგორც სამართლიანად შენიშნეს კ. მელაძემ, შ. რადიანმა, კ. ლორთქიფანიძემ, გ. ბუხნიკაშვილმა, ს. ჩიქოვანმა და სხვებმა, პ. იაშვილი ჯერ კიდევ კარგად არ ჩაპყვრივებია ამხანაგ ლ. ბერიას გაფრთხილებას და ვერ გამოუტანია იქიდან დასკვნები“.

ამავე კრებაზე იმსჯელეს ნიკოლო მიწიშვილის შესახებაც. მასაც მოუხმინეს, მაგრამ დაასკვნეს, რომ „ნ. მიწიშვილის გამოსვლა სავსებით წარმოადგენდა თვალთმაქცურ და ყალბაბანდურ ცდას, გვერდი აეხვიო მის წინაშე პირდაპირ დასმული საკითხებისთვის ხალხის სიხსიანი მტრებთან კავშირის შესახებ.“

თავის მართლება უშედეგოდ მოუწია ტიციან ტაბიძესაც — „ჩვეულებრივი დეკლარაციით გამოვიდა ამხანაგი ტიციან ტაბიძე. მან შემდეგი განცხადებით მოიხადა მოვალეობა: შევდივარ ვივლი ჩემ ურთიერთობას ხალხის მტრებთან. ეს დიდი დანაშაულია, მაგრამ თავი ბედნიერად მიმანია იმის გამო, რომ არასდროს არ ყოფილა შემთხვევა, ისინი ჩემს საქმეში ჩარეულიყვნენ, რაიმე გავლენა მოეხდინათ ჩემს ლიტერატურულ კარიერაზე“.

პირველი გაკვეთილის დასასრული

შესვენება

მეორე გაკვეთილი

აქტ.7. დოკუმენტის გაცნობის შემდეგ მოსწავლეები განიხილავენ ამ მასალას კითხვების საშუალებით და შეავსებენ სქემას-5 წთ.

კითხვა	სავარაუდო პასუხი
როდის დაიწყო რეპრესიები საქართველოში?	პირველად რეპრესიების შესახებ ინფორმაცია „ლიტერატურული საქართველოს“ 1936 წლის 16 აგვისტოს ნომერში გამოქვეყნდა.
რომელმა მწერლებმა დაგმეს ბუდუ მდივანი და რა ფორმით?	მიხეილ ჯავახიშვილმა, შალვა დადიანმა, გიორგი ბააზოვმა, სიმონ ჩიქოვანმა, გიორგი ლეონიძემ, ალიო მაშაშვილმა, ვალერიან გაფრინდაშვილმა, კონსტანტინე გამსახურდიამ, ტიცუან ტაბიძემ, დემნა შენგელაიამ, სიმონ წვერაძემ, ირაკლი აბაშიძემ.
თქვენი აზრით, ამ კრებაზე გამოთქმული მოსაზრებების ავტორები ნამდვილად ასე ფიქრობდნენ?	არა, ისინი იძულებულები იყვნენ, საკუთარი თავის გადასარჩენად ასე მოქცეულიყვნენ.
დოკუმენტიდან გამომდინარე, როგორ აყალიბებდა საბჭოთა იდეოლოგიური მანქანა ახალი ტიპის ქართველ მწერალს?	შიშის, ტერორის, რეპრესიების, ფიზიკური განადგურების საშუალებით.
ამონარიდებზე დაყრდნობით, შეიძლება თუ არა დასკვნა იმისა, რომ საბჭოთა იდეოლოგია ცდილობდა საკუთარი მიზნების განსახორციელებლად გამოეყენებინა ქართული	ნამდვილად შეიძლება ასეთი დასკვნის გაკეთება. საბჭოთა ხელისუფლების სურვილი იყო, რომ ქვეყნის იდეოლოგიის როლი მწერლებს აეღოთ საკუთარ თავზე. პრესა იდეოლოგიას

რუსუდან გონაშვილი, „ცისფერყანწელები“, შემაჯამებელი გაკვეთილი

ლიტერატურა?	ავრცელებდა, ახალ მითს კი ბოლშევიკების დაკვეთით სწორედ მწერლები ქმნიდნენ.
-------------	--

აქტ.8. ამის შემდეგ მოსწავლეები მუშაობენ სქემაზე: **მითი და რეალობა - 10 წთ**

მითი და დემაგოგია	რეალობა და ჭეშმარიტება
ცისფერყანწელები დამნაშავეები და ქვეყნის მოღალატეები იყვნენ და მათი ბრალეულობა თვალსაჩინო და დამტკიცებული იყო.	ცისფერყანწელები ქართულ ტრადიციებზე დაყრდნობით ახალი ქართული პოეზიის დამკვიდრებას ცდილობდნენ და არანაირი სახელმწიფოს მტრობა და ზიანი მათ თავშიც არ გაუვლიათ, პირიქით, სამშობლოზე უზომოდ შეყავრებული ადამიანები იყვნენ.
რომ იმ დროს „სიტყვა ეკუთვნოდა კანონს“.	იმ დროს ყველაფერს ერთი კაცის ნება-სურვილი წყვეტდა სახელმწიფოს სახელით.
რომ ყველა შემოქმედი თვისუფლად გამოთქვამდა თვის აზრსა და სათქმელს.	დაშინებული მწერლები თავის გადარჩენის მიზნით იმას ახმოვანებდნენ, რასაც საბჭოთა იდეოლოგია უკვეთავდა მათ.

აქტ.9. ამის შემდეგ ხდება ნამუშევრების პრეზენტაცია-10 წთ.

შემდეგი აქტივობით კლასში იმართება ორი დაპირისპირებული ბანაკის - ცისფერყანწელთა და პროლეტარპოეტების - დაწერილი ლექსების განხილვა, შედარება და ქართულ პოეზიაში მომხდარ ცვლილებებზე დაკვირვება კითხვების საშუალებით. დაკვირვება იმაზე, რა ღირებულებებს ამკვიდრებდნენ ერთნი და რას-მეორენი. დაკვირვება იმაზე, თუ როგორ კლავს ყოველგვარი იდეოლოგია და დაშინება -დოგმები მწერლობასა და შემოქმედებას,

ლექსი მეწყერი

ტიციან ტაბიძე

„მე არ ვწერ ლექსებს... ლექსი თვითონ მწერს,
ჩემი სიცოცხლე ამ ლექსს თან ახლავს.
ლექსს მე ვუწოდებ მოვარდნილ მეწყერს,
რომ გაგიტანს და ცოცხლად დაგმარხავს.

მე დავიბადე აპრილის თვეში,
ვაშლების გაშლილ ყვავილებიდან,
მაწვიმს სითეთრე და წვიმის თქეში
მოდის ცრემლებად ჩემს თვალებიდან.

აქედან ვიცი, მე რომ მოკვდები,
ამ ლექსს რომ ვამბობ, ესეც დარჩება,
ერთ პოეტს მაინც გულზე მოხვდება
და ეს ეყოფა გამოსარჩლებად.

იტყვიან ასე: იყო საწყალი,
ორპირის ფშანზე გაზრდილი ბიჭი.
ლექსები იყო მისი საგზალი,
არ მოუცვლია ერთი ნაბიჯი.

და აწვალვდა მას სიკვდილამდე
ქართული მზე და ქართული მიწა,
ბედნიერებას მას უმაღლვდენ,
ბედნიერება მან ლექსებს მისცა.

მე არ ვწერ ლექსებს, ლექსი თვითონ მწერს,
ჩემი სიცოცხლე ამ ლექსს თან ახლავს.
ლექსს მე ვუწოდებ მოვარდნილ მეწყერს,
რომ გაგიტანს და ცოცხლად დაგმარხავს.

.....

კალე ფეოდოსიშვილი

...და მე აქ მინდა დავსვა წერტილი, ბაღში ორკესტრი კი ისევ უკრავს,
გამოვერკვით, რომ მიწისშვილი, ვხატავ ოცნების სიცოცხლის რუკას.
არ გაპატიებ მე შენ ამ ცოდვებს, დახეი ჩემი ძველი წერილი,
მე უშენოდაც გავძლებ, იცოდე, სხვა ცხოვრებაზე ჯვარდაწერილი.
გწამდეს ამქვეყნად ეს სიყვარული, დროებითია და უფერული,
მე გადავწყვიტე მთლიანი გულით ახალი ქვეყნის დავრჩე ერთგული.
არ გაგიკვირდეს დღეს ეს ცვლილება, არ გაგიკვირდეს, ნუ მეტყვი ჯალათს,
მე მამას მოვკლავ, დავახრჩობ დედას, რევოლუციამ თუკი მიბრძანა!“
1926 ზესტაფონი ჟურნალი „მერცხალი“

ლექსის განხილვისთვის მოსწავლეები ავსებენ ცხრილებს:

„ლექსი მეწყერი“ ტიციან ტაბიძე	
კითხვები	სავარაუდო პასუხები
როდის დაიწერა ლექსი?	1927 წელს.
რა მხატვრული ხერხებია გამოყენებული ლექსში?	ეპითეტები, მეტაფორა.
რა არის ლექსის ძირითადი გზავნილი?	ლექსი ავტობიოგრაფიულია და მასში ნათლად შეიძლება პოეტის სულის, მისი სიყვარულის, ფიქრისა და მიზნის საგანის დანახვა, გადმოცემული მისი ამქვეყნად მოსვლის მისეული ხედვა. გადმოცემულია ის, რომ ტიციანი პოეზიით სუნთქავდა და ცოცხლობდა.
ვინ შეიძლება იყოს ამ ლექსის პირდაპირი და ირიბი შემკვეთი?	ლექსის „შემკვეთი“ აქ მხოლოდ მუზაა, ლექსი ტიციანის სულის ამოძახილია, მისი ხმამაღლა ნაფიქრია, ლექსით, რითმებით „შეფუთული“ მისი სიცოცხლე.
ვინ იღებს სარგებელს ამ ლექსით?	მკითხველი, პოეტი.

კალე ფეოდოსიშვილი	
კითხვები	სავარაუდო პასუხები
როდის დაიწერა ლექსი?	1926 წელს
რა მხატვრული ხერხებია გამოყენებული?	
რა არის ლექსის ძირითადი გზავნილი?	მმართველი რეჟიმის, იდეოლოგიის ქება, ხოტბა.
ვინ შეიძლება იყოს ამ ლექსის პირდაპირი და ირიბი შემკვეთი?	პირდაპირი და ირიბი შემკვეთიც მმართველი რეჟიმი და პარტიაა.
ვინ იღებს სარგებელს ამ ლექსით?	კომუნისტური რეჟიმი, იდეოლოგია, ლექსს არანაირი მხატვრული ღირებულება არ აქვს, არც მხატვრული ხერხების გამოყენებით და არც შინაარსობლივად, მასში ისეთივე გზავნილებია, როგორიც საბჭოთა სისხლიან იდეოლოგიას ჰქონდა.

ცხრილების შევსების შემდეგ მოსწავლეები მონაწილეობენ დისკუსიაში – 10 წთ. მასწავლებელი სვამს კითხვებს:

კითხვები	სავარაუდო პასუხები
გამოკვეთეთ ღირებულება, რომლის ერთგული იყო ცისფერყანწელთა მთავარი პოეტი და ღირებულება, რომლის ერთგული იყო პროლეტარი მწერალი.	ტიციანის ფიქრის, სიყვარულის საგანი სამშობლო, ქართული მზე და ქართული მიწაა, პოეზია და ხალხის სამსახურია, რეპრესიებამდელი ლექსი ემოციური, შინაარსიანი, ინდივიდუალური, მაღალმხატვრულია; პროლეტარი მწერალისთვის კი სამშობლო და ქართული მიწა კი არა, დედა და მამაც კი არაა ღირებული და მნიშვნელოვანი, დაუფიქრებლად მზად არის, გაწიროს მშობლები პარტიის, რეჟიმის

რუსუდან გონაშვილი, „ცისფერყანწელები“, შემაჯამებელი გაკვეთილი

	პირველივე მოთხოვნისთანავე. ამ დროს დაწერილი ლექსებით შეუძლებელია შიშისა და სიცივის გარდა რამე შეიგრძნო და ისწავლო.
შეიძლება თუ არა მათი ღირებულებებში სხვაობა ეპოქათა მთავარ მახასიათებლად ჩავთვალოთ?	მათი ღირებულებებში სხვაობა ნამდვილად გამოწვეულია ეპოქის გავლენით. ცისფერყანწელებისთვის პრიორიტეტი სამშობლო, ქართველი ხალხი და ქვეყნის დამოუკიდებლობა იყო. პოლიტმწერლებისთვის კი - მმართველი რეჟიმისთვის გუნდრუკის კმევა და პირადი კეთილდღეობა.

შეჯამებისთვის:

მასწავლებელი სთხოვს დასკვნის სახით თითოეულმა ჯუფმა 1 წინადადებით გადმოსცეს, თუ რა გაიგეს დღევანდელი გაკვეთილიდან **(3 წუთი)**.

სავარაუდო პასუხები
ცისფერყანწელები პატრიოტი, სამშობლოს მოყვარული ახალგაზრდები იყვნენ.
ცისფერყანწელებს საკუთარი ხედვა ჰქონდათ ქვეყნის განვითარების, რომელიც არ ეთანხმებოდა მაშინდელი დიქტატორული მმართველი რეჟიმის ხედვას.
არსებული რეჟიმი ყველანაირად ცდილობდა საღად მოაზროვნე ადამიანების მოშორებასა და სამაგალითოდ დასჯას...

საშინაო დავალება: „პიროვნების ზნეობა და შიში“ (ესე)-**2წთ.**

შეფასება: მასწავლებელი აფასებს მოსწავლეებს პრეზენტაციისა და დისკუსიის შეფასების კრიტერიუმებით **2-3 წუთი**.

რუსუდან გონაშვილი, „ცისფერყანწელები“, შემაჯამებელი გაკვეთილი

შეფასების რუბრიკები:

პრეზენტაცია, პრეზენტაციის შეფასების რუბრიკა

პრეზენტაციის შეფასების კრიტერიუმები	
სათაურთან, თემატიკასთან შესაბამისობა	
შეესაბამება სათაურს, საკითხი ზუსტად და ამომწურავად არის გადმოცემული; იყენებს შესაბამის ტერმინოლოგიას; კარგად აქვს ორგანიზებული (შესავალი, ძირითადი ნაწილი, დასკვნა).	3
მსჯელობს, მაგრამ თხრობისას დარღვეულია ლოგიკური ბმა. აკლია თხრობის რომელიმე ელემენტი (შესავალი,ძირითადი ნაწილი, დასკვნა).	2
საკითხი არასრულად არის გადმოცემული; ტერმინოლოგია ნაკლოვანია ან აკლია ორგანიზებულობა.	1
პრეზენტაცია არ შეესაბამება სათაურს. ტერმინოლოგია არ არის გამოყენებული, ან არ არის ორგანიზებული.	0
არგუმენტირება, პარალელები	
მსჯელობს არგუმენტირებულად, დამაჯერებლად, მოჰყავს ციტატები, ავლებს პარალელებს.	3
მსჯელობა ჩანს, მაგრამ არის რამდენიმე არსებითი შეცდომა, არ ავლებს პარალელებს.	2
პასუხი მოიცავს წაკითხული ინფორმაციის გაუაზრებელ გამეორებას; იშვიათად ამჟღავნებს კრიტიკული აზროვნების უნარს.	1
პრეზენტაცია არ შეესაბამება საკითხს, გადმოცემული საკითხები არსებითად მცდარია; პრეზენტაცია ძალზე ბუნდოვანი და არაინფორმაციულია.	0
ეფექტურად იყენებს სლაიდშოუს, პლაკატს, დაფას და ა.შ. ვიზუალიზაციის სხვა ხერხებს.	2
ვიზუალიზაციის ხერხები გამოყენებული აქვს, თუმცა არაეფექტურად, უმართებულოდ.	1
ძალზე იშვიათად ან არაადეკვატურად იყენებს ვიზუალიზაციის ხერხებს.	0
რეგლამენტი, საკომუნიკაციო უნარები	
იცავს რეგლამენტს, ფლობს საკომუნიკაციო უნარებს (ჟესტიკულაცია, ხმის ტემბრი,აუდიტორიის ფლობა).	2

რუსუდან გონაშვილი, „ცისფერყანწელები“, შემაჯამებელი გაკვეთილი

უჭირს აუდიტორიის ყურადღების მიპყრობა, ან ვერ იცავს რეგლამენტს.	1
ვერ ამყარებს კონტაქტს აუდიტორიასთან, ლაპარაკობს გაურკვევლად; არ იცავს რეგლამენტს.	0

დისკუსიის შეფასების რუბრიკა

კრიტერიუმები	დიახ	არა
საუბრობს გამართულად და თავდაჯერებულად.		
საუბარი არგუმენტირებულია.		
იცავს დისკუსიის წესებს და თანაკლასელის მიმართ კორექტულია.		
იცავს საუბრისას დროის ლიმიტს.		

გამოყენებული ლიტერატურა:

1. სამოქალაქო განათლების ლექსიკონი. თბ.2013 დ.ზურაბიშვილი, გ. გობრონიძე.
2. ფილმი „მონანიება“
3. ლექსი „ანანურთან“
4. კალე ფეოდოსიშვილი, 1926 ზესტაფონი ჟურნალი „მერცხალი“
5. საბჭოთა კვლევის ლაბორატორიის მასალა „საბჭოთა წარსულის გააზრება“, ამონარიდი „1937 წელი - „ლიტერატურული საქართველო“.

გამოყენებული ვიდეო რესურსები

1. ვიდეო ფილმი: „ცისფერყანწელები“
<https://www.youtube.com/watch?v=gV6fUioYifs>
2. ამონარიდი ფილმიდან „მონანიება“
<https://www.youtube.com/watch?v=Towxmy1b098>